ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 03/05-43

ქ.ბათუმი 10 თებერვალი 2017 წ.

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 23-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე. ერთის მხრივ ---------- შემდგომში "მიმწოდებელი", შ.პ.ს, „აჭარპრესა" დირექტორი ავთანდილ ჩირგაძე ქ.ბათუმი ვაჟა-ფშაველას ქ. №26 და მეორეს მხრივ ---------- შემდგომში "შემსყიდველი" ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, (შემდგომში საქონელი) CPV-222 000 00 რომლის რაოდენობა და ფასი განისაზღვრება ფორმა № 3-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. სახელშეკრულებლო თანხა

2.1. შემსყიდველი ღებულობს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ჟურნალ-გაზეთების დირებულება, რომლის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 33 ლარი 00 თეთრი (---------- ლარი 00 თეთრი)

3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი მიწოდებული იქნება შეთანხმების სრული დაცვით.

4.ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების წარდგენის შემდეგ 5 საბანკო დღის განმავლობაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.3 ანგარიშსწორება მიმწოდებლთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს' შესაბამისი ინფორმაცია.

5..3 ნებისმირი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულებითი ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებების გადაცემა

6.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფრხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.